

დამტკიცებულია საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2007 წლის 7 თებერვლის
№40/ნ ბრძანებით

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის ანოტაცია

1. პროგრამის მიზანია ბაზისურ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
2. მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
 - ა) დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ბ) დიაბეტთან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - გ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - დ) ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ე) ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ვ) უმაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ზ) ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - თ) იმუნიზაციის კომპონენტი;
 - ი) ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - კ) სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა განბაჟების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები;
 - ლ) მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - მ) ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფის კომპონენტი
3. პროგრამის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 9 670,0 ათას ლარს.
4. პროგრამის მოქმედების ვადაა 2007 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის შენარჩუნება და გაზრდა.

მუხლი 3. მომსახურების პაკეტი

1. დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს:
 - ა) შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ინსულინის პრეპარატებით უზრუნველყოფას;
 - ბ) საქართველოში მცხოვრები შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა ადექვატური მედიკამენტოზური მკურნალობით უზრუნველყოფას;
 - გ) მოზრდილი პაციენტებისთვის ინსულინისა და მათი ანალოგების შექმნა-შენახვა-განაწილების უზრუნველყოფას.
2. დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთათვის ინსულინისა და გლუკაგონის შექმნას, შენახვას და გაცემას.
3. ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს ჰემოფილიით დაავადებულ პაციენტთა უზრუნველყოფას ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებით და სისხლის სხვა აუცილებელი პრეპარატებით.
4. ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს ონკოინკურაბელურ პაციენტთა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფას.
5. ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს
 - ა) ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფას;
 - ბ) აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა მონიტორინგს.
6. უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას.
7. ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პაციენტების ანტირაბიული საშუალებებით უზრუნველყოფას.
8. იმუნოზაციის კომპონენტი მოიცავს ვაქცინების შექმნას, შენახვასა და გაცემას "ცივი ჯაჭვის" პრინციპების დაცვით.
9. ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა საკვები დანამატით უზრუნველყოფას;
10. სპეციალური სამკურნალო საშუალებათა განბაჟების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ცენტრალიზებულად შექმნილი სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატების) მიღება-შენახვა-გაცემის ორგანიზაციულ ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფას ფარმაცევტული

მომსახურების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს:

ა) სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატები) მიღება-შენახვა-გაცემას სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებზე (მათ შორის ავთიაქებზე) ფარმაცევტული ბაზის მომსახურების მეშვეობით;

ბ) სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატები) ავადმყოფებზე გაცემას სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მეშვეობით (მათ შორის ავთიაქების);

გ) ნარკოტიკული საშუალებების ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში ტრანსპორტირებას ბადრაგირების მეშვეობით.

11. მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს მუკოვისციდოზით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას.
12. ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფის კომპონენტი მოიცავს ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფას.

მუხლი 4. პროგრამის ღონისძიებები

1. ამოცანა ჩაითვლება მიღწეულად, თუ სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად, სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იქნება ყველა სამიზნე ჯგუფი.
2. შესყიდვები განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (შემდგომში ფონდი) შეიმუშავებს ხელშეკრულების პირობებს ერთი თვის ვადაში.
4. ფონდი (სათაო ოფისში და ფილიალებში) განუმარტავს მომსახურების მომწოდებლებს ხელშეკრულების პირობებს და აფორმებს ხელშეკრულებას.
5. ფონდი იღებს ანგარიშგებას მომსახურების მომწოდებლებიდან და ახდენს ანგარიშსწორებას ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
6. პროგრამით გათვალისწინებული რუტინული ვაქცინების შესყიდვა განხორციელდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ერთ პირთან – გაეროს ბავშვთა ფონდთან – მოლაპარაკების გზით.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

"2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9 670,0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ცხრილი

	ათასი ლარი
მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა	9 670,0
დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით	3 480,0
უზრუნველყოფის კომპონენტი	
დიაბეტთან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	450,0
ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით	800,0
უზრუნველყოფის კომპონენტი	570,0
ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	900,0
ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	270,0
უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1 200,0
	600,0
ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	300,0
იმუნიზაციის კომპონენტი	600,0

დანართი 1.

მოსარგებლეთა აღიცხვაზე აყვანის, პოლისის შევსებისა და გაცემის წესი

1. "მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის" მოსარგებლეთა აღიცხვაზე აყვანა ხორციელდება შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:
 - ა) დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ბ) დიაბეტთან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - გ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - დ) ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ე) უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ვ) ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი;

ზ) მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

2. აღრიცხვაზე აყვანისათვის პაციენტმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა (ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე) ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №IV-100/ა, რომელშიც დადასტურებული იქნება შესაბამისი დიაგნოზი;

ბ) პირადობის/ბინადრობის მოწმობის დედანი და ასლი;

გ) ბავშვების აღიცხვისას, ბავშვის დაბადების მოწმობის დედანი და ასლი (ასევე აუცილებელია ბავშვის მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის დედანი და ასლი, მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი/ასლი).

დ) 2 ფოტოსურათი

3. პოლისი მოწმდება სააგენტოს ბეჭდით.

4. პოლისის ერთი ნაწილი გადაეცემა პაციენტს, ხოლო მეორე იდენტური ნაწილი რჩება სააგენტოში.

5. პოლისის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი სპეციფიკური მედიკამენტები და საკვები დანამატი სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ შესაბამის დაწესებულებებში.

6. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა პოლისის მფლობელი დამატებით უფლებამოსილია, მიიღოს კუთვნილი დახმარება "შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში.

7. ჰემოფილით დაავადებულთა პოლისის მფლობელი დამატებით უფლებამოსილია, მიიღოს კუთვნილი დახმარება "ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში.